

შპს „კონდი“

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

ერთეული: 1 GEL

	საანგარიშგებო პერიოდი			შენიშვნა
	31.12.2019	31.12.2018	31.12.2017	
აქტივები				
<i>მიმდინარე აქტივები, სულ:</i>	<i>2124544</i>	<i>812362</i>	<i>480814</i>	
ფულადი სახსრები	587769	628369	238984	3.1
სავაჭრო მოთხოვნები	26480	13339	15487	3.2
ავანსები და წინასწარ ანაზღაურებული ხარჯები	1245284	61898	57635	
მარაგები	99498	108496	81509	3.3
სხვა მიმდინარე აქტივები	165513	260	87199	
<i>გრძელვადიანი აქტივები, სულ:</i>	<i>3143442</i>	<i>1024399</i>	<i>935499</i>	
ძირითადი საშუალებები	3138396	1018666	931449	3.4
არამატერიალური აქტივები	5046	5733	4050	3.5
სულ აქტივები:	5267986	1836761	1416313	
ვალდებულებები და კაპიტალი				
<i>მიმდინარე ვალდებულებები, სულ:</i>	<i>173160</i>	<i>142119</i>	<i>179731</i>	
სავაჭრო ვალდებულებები	137588	34824	100377	3.6
საგადასახადო ვალდებულებები	7636	82498	53049	
სხვა ვალდებულებები	27936	24797	26305	3.7
<i>გრძელვადიანი ვალდებულებები, სულ:</i>	<i>2949531</i>			
გრძელვადიანი სასესხო ვალდებულებები	2949531			
სულ კაპიტალი:	2145295	1694642	1236582	
საწესდებო (სააქციო) კაპიტალი				
დაგროვილი მოგება / დაუფარავი ზარალი	2145295	1694642	1236582	3.8
სულ ვალდებულებები და კაპიტალი:	5267986	1836761	1416313	

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია გამოსაქვეყნებლად 30.09.2020 წ.

დირექტორი



ირაკლი ბოჭორიშვილი

თანხლები განმარტებითი შენიშვნები არის წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილი.

შპს „კონდი“

მოგება-ზარალის, სხვა სრული შემოსავლის და საკუთარი კაპიტალის ანგარიშგება

	ერთეული: 1 GEL		შენიშვნა
	საანგარიშგებო პერიოდი		
	2019	2018	
ამონაგები	6726246	6264600	3.9
რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება	-4440884	-4129285	
მოგება ან ზარალი რეალიზაციიდან	2285362	2135315	
მიწოდების ხარჯები	-725671	-618880	3.10
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	-399358	-419371	3.11
სულ საოპერაციო ხარჯები:	-1125029	-1038251	
საპროცენტო შემოსავალი	5882	7845	
დადებითი საკურსო სხვაობები	32841	33	
სხვა შემოსავალი	5809	4035	
სულ არასაოპერაციო შემოსავლები:	44532	11913	
საპროცენტო ხარჯი	-22642		
უარყოფითი საკურსო სხვაობები	-33536	-210	
გაუთვალისწინებელი ხარჯები	-4535	-13961	
ზარალი ძირ. საშ. რეალიზაციიდან		-3064	
სულ არასაოპერაციო ხარჯები:	-60713	-17235	
მოგება დაბეგვრამდე:	1144152	1091742	
მოგების გადასახადის ხარჯი	-104025	-53682	
სულ საანგარიშგებო პერიოდის მოგება ან ზარალი:	1040127	1038060	3.12
სულ საანგარიშგებო პერიოდის სხვა სრული შემოსავალი:			
სულ საანგარიშგებო პერიოდის სრული შემოსავალი:	1040127	1038060	
საკუთარი კაპიტალის საწყისი ნაშთი საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისში	1694642	1236582	
ახალი აქციების გამოშვება / კაპიტალის ზრდა			
განაწილება მესაკუთრეებზე (მათ შორის დივიდენდი):	-589474	-580000	
სხვა ცვლილებები გაუნაწილებელ მოგებაში			
კაპიტალის სხვა ცვლილებები			
საკუთარი კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს	2145295	1694642	

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია გამოსაქვეყნებლად 30.09.2020 წ.

დირექტორი _____



ირაკლი ბოჭორიშვილი

თანმხლები განმარტებითი შენიშვნები არის წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილი.

შპს „კონდი“

2019 წლის ფინანსური ანგარიშგება

შპს „კონდი“					
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება					
				ერთეული: 1 GEL	
	საანგარიშგებო პერიოდი			შენიშვნა	
	31.12.2019	31.12.2018	31.12.2017		
აქტივები					
მიმდინარე აქტივები, სულ:	2124544	812362	480814		
ფულადი სახსრები	587769	628369	238984	3.1	
სავაჭრო მოთხოვნები	26480	13339	15487	3.2	
ავანსები და წინასწარ ანაზღაურებული ხარჯები	1245284	61898	57635		
მარაგები	99498	108496	81509	3.3	
სხვა მიმდინარე აქტივები	165513	260	87199		
გრძელვადიანი აქტივები, სულ:					
ძირითადი საშუალებები	3138396	1018666	931449	3.4	
არამატერიალური აქტივები	5046	5733	4050	3.5	
სულ აქტივები:	5267986	1836761	1416313		
ვალდებულებები და კაპიტალი					
მიმდინარე ვალდებულებები, სულ:	173160	142119	179731		
სავაჭრო ვალდებულებები	137588	34824	100377	3.6	
საგადასახადო ვალდებულებები	7636	82498	53049		
სხვა ვალდებულებები	27936	24797	26305	3.7	
გრძელვადიანი ვალდებულებები, სულ:					
გრძელვადიანი სასესხო ვალდებულებები	2949531				
სულ კაპიტალი:	2145295	1694642	1236582		
საწესდებო (სააქციო) კაპიტალი					
დაგროვილი მოგება / დაუფარავი ზარალი	2145295	1694642	1236582	3.8	
სულ ვალდებულებები და კაპიტალი:	5267986	1836761	1416313		
ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია გამოსაქვეყნებლად 30.09.2020 წ.					
დირექტორი _____		ირაკლი ბოჭორიშვილი			
თანხლები განმარტებითი შენიშვნები არის წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილი.					

შპს „კონდი“			
მოგება-ზარალის, სხვა სრული შემოსავლის და საკუთარი კაპიტალის ანგარიშგება			
			ერთეული: 1 GEL
	საანგარიშგებო პერიოდი		შენიშვნა
	2019	2018	
ამონაგები	6726246	6264600	3.9
რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება	-4440884	-4129285	
მოგება ან ზარალი რეალიზაციიდან	2285362	2135315	
მიწოდების ხარჯები	-725671	-618880	3.10
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	-399358	-419371	3.11
სულ საოპერაციო ხარჯები:	-1125029	-1038251	
საპროცენტო შემოსავალი	5882	7845	
დადებითი საკურსო სხვაობები	32841	33	
სხვა შემოსავალი	5809	4035	
სულ არასაოპერაციო შემოსავლები:	44532	11913	
საპროცენტო ხარჯი	-22642		
უარყოფითი საკურსო სხვაობები	-33536	-210	
გაუთვალისწინებელი ხარჯები	-4535	-13961	
ზარალი ძირ. საშ. რეალიზაციიდან		-3064	
სულ არასაოპერაციო ხარჯები:	-60713	-17235	
მოგება დაბეგვრამდე:	1144152	1091742	
მოგების გადასახადის ხარჯი	-104025	-53682	
სულ საანგარიშგებო პერიოდის მოგება ან ზარალი:	1040127	1038060	3.12
სულ საანგარიშგებო პერიოდის სხვა სრული შემოსავალი:			
სულ საანგარიშგებო პერიოდის სრული შემოსავალი:	1040127	1038060	
საკუთარი კაპიტალის საწყისი ნაშთი საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისში	1694642	1236582	
ახალი აქციების გამოშვება / კაპიტალის ზრდა			
განაწილება მესაკუთრეებზე (მათ შორის დივიდენდი):	-589474	-580000	
სხვა ცვლილებები გაუნაწილებელ მოგებაში			
კაპიტალის სხვა ცვლილებები			
საკუთარი კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს	2145295	1694642	
ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია გამოსაქვეყნებლად 30.09.2020 წ.			
დირექტორი _____	ირაკლი ბოჭორიშვილი		
თანმზღვრები განმარტებითი შენიშვნები არის წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილი.			

2019 წლის ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

1. ზოგადი ნაწილი

1.1. შპს „კონდი“ (შემდგომში – კომპანია) წარმოადგენს შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებას, რომელიც მოქმედებს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. კომპანია დარეგისტრებულია 2015 წლის 22 ივლისს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მიერ „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად. მისი საიდენტიფიკაციო კოდია - 404497914, იურიდიული მისამართი - საქართველო, თბილისი, ძველი თბილისის რაიონი, გ. რჩეულიშვილის ქ., კორ. 4, ბ. 12. ფაქტობრივი მისამართი ქ. თბილისი, რჩეულიშვილის მე-3 ჩიხი, კორპ.გ. კომპანიის საფირმო სახელწოდებაა „საკონდიტრო ბელა“. კომპანია დარეგისტრებულია დღგ-ის გადამხდელად 2015 წლის 2 სექტემბრიდან.

1.2. კომპანიის წილის მფლობელები არიან:

ირაკლი ბოჭორიშვილი (პ/ნ 01017011954) - 50%.

ბექა ბოჭორიშვილი (პ/ნ 01017016820) - 50%.

1.3. კომპანიის დირექტორია ირაკლი ბოჭორიშვილი (პ/ნ 01017011954)

1.4. კომპანიის ძირითადი ეკონომიკური საქმიანობაა არახანგრძლივი შენახვის საკონდიტრო ნაწარმის წარმოება და რეალიზაცია.

1.5. კომპანიას 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, არ ჰყავს შვილობილი და მეკავშირე საწარმოები.

1.6. კომპანიას დაქირავებულ თანამშრომელთა რიცხვი 2019 წელს შეადგენდა 72 ადამიანს.

1.7. წესდების მიხედვით, საანგარიშგებო წელი გრძელდება 1 იანვრიდან 31 დეკემბრის ჩათვლით.

2. ფინანსური ანგარიშგების მომზადების საფუძველი და გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკა

2.1. 2018 წლის 1 იანვრიდან დაწყებული, კომპანიის ბუღალტრული აღრიცხვა და ფინანსური ანგარიშგება წარმოებს მსს ფასს-ის (ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტი მცირე და საშუალო საწარმოებისათვის) მიხედვით. ამასთან, კომპანია წარმოადგენს მესამე კატეგორიის საწარმოს „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს 2016 წლის 8 ივნისის კანონის თანახმად. აღნიშნული კანონიდან გამომდინარე, კომპანიას არ ევალება წლიური ფინანსური ანგარიშგების აუდიტი.

2.2. წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია საქმიანობის უწყვეტობის და პირვანდელი (ისტორიული) ღირებულების პრინციპის გათვალისწინებით. აღრიცხვა-ანგარიშგების ფუნდამენტური სააღრიცხვო პრინციპი - დარიცხვის მეთოდი დაცულია. სააღრიცხვო შეფასებები და ძირითადი დაშვებები ყოველწლიურად გადაიხედება. სააღრიცხვო შეფასების ცვლილების აღიარება ხდება იმ პერიოდში, როდესაც ხდება შეფასებების გადახედვა და ასევე შესაბამის მომავალ პერიოდებში.

2.3. გათვალისწინებულია მსს ფასს-ის ძირითადი დაშვება - ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპი, რაც გულისხმობს, რომ კომპანიის მენეჯმენტი არ გეგმავს და არ მოელის, რომ უახლოესი ერთი წლის განმავლობაში კომპანია შეწყვეტს ფუნქციონირებას, ან მოხდება მისი საქმიანობის მასშტაბის არსებითი შეზღუდვა. შესაბამისად, კომპანიის 2019 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლის ფინანსური ანგარიშგება მომზადდა ამ დაშვების გათვალისწინებით, რაც გულისხმობს, რომ აქტივების რეალიზაცია/გასვლა და ვალდებულებების დაფარვა ხორციელდება ბიზნესის ჩვეულებრივი მსვლელობისას.

2.4. 2019 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლის ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას, გამოყენებულია ამ თარიღის მდგომარეობით მოქმედი მსს ფასს.

2.5. კომპანიის საანგარიშგებო პერიოდი ემთხვევა კალენდარულ წელს (1 იანვრიდან 31 დეკემბრამდე).

2.6. კომპანიის მიერ გამოყენებულია შემდეგი სააღრიცხვო პოლიტიკა:

შემოსავლების აღიარება

შემოსავლების აღიარება ხდება საქონლის და მომსახურების გაყიდვიდან ჩვეულებრივი საქმიანობის პროცესში მისაღები ან მიღებული თანხის სამართლიანი ღირებულებით, დარიცხვის მეთოდის შესაბამისად.

საექვო მოთხოვნების აღიარება

კომპანიის საექვო მოთხოვნების სიდიდე განისაზღვრება ინდივიდუალურად თითოეული დებიტორული დავალიანების შესწავლის გზით. თუ დებიტორული დავალიანების წარმოშობიდან გასულია 3 წელი ან მეტი, ეს წარმოადგენს წინაპირობას მისი 100%-იანი გაუფასურებისათვის, თუმცა ყოველ ცალკეულ შემთხვევაში ხდება დამატებითი განსჯა, საჭიროა თუ არა მოთხოვნის გაუფასურების ანარიცხის აღიარება 3 წელზე უფრო ნაკლებ ვადაში.

ფინანსური აქტივები და ფინანსური ვალდებულებები

ფინანსური აქტივის ან ფინანსური ვალდებულების ამორტიზებული ღირებულება (გარდა მცირევადიანი ფინანსური აქტივებისა და ფინანსური ვალდებულებებისა) ყოველი საანგარიშგებო პერიოდისთვის წარმოადგენს შემდეგი სიდიდეების ნეტო ღირებულებას:

(ა) თანხა, რომლითაც ფინანსური აქტივი ან ფინანსური ვალდებულება შეფასებულია თავდაპირველი აღიარებისას;

(ბ) გამოკლებული ძირი თანხის დასაფარად გადახდილი თანხები;

(გ) მიმატებული ან გამოკლებული დაგროვილი ამორტიზაციის თანხა, რომელიც მიიღება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით თავდაპირველად აღიარებულ და დასაფარ თანხებს შორის განსხვავების მიმართ; და

(დ) გამოკლებული, ფინანსური აქტივის შემთხვევაში, გაუფასურების ზარალის ან უიმედო ვალის შემცირების თანხა (პირდაპირ, ან რეზერვების ანგარიშების გამოყენებით).

ფინანსური აქტივები და ფინანსური ვალდებულებები, რომლებსაც არ გააჩნია ნომინალური საპროცენტო განაკვეთი, დაკავშირებული არ არის ისეთ შეთანხმებასთან, რომელიც ფინანსურ ოპერაციას წარმოადგენს და კლასიფიცირდება, როგორც მოკლევადიანი აქტივები ან მოკლევადიანი ვალდებულებები, თავდაპირველად შეფასდება არადისკონტირებული ღირებულებით. აქედან გამომდინარე, მათზე არ ვრცელდება ზემოაღნიშნული (გ) პუნქტის მოთხოვნა.

ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდი არის ფინანსური აქტივის ან ფინანსური ვალდებულების (ან ფინანსური აქტივების, ან ფინანსური ვალდებულებების ჯგუფის) ამორტიზებული ღირებულების გამოთვლისა და საპროცენტო შემოსავლების ან ხარჯების შესაბამის პერიოდზე მიკუთვნების მეთოდი. ეფექტური საპროცენტო განაკვეთი არის განაკვეთი, რომლის მეშვეობით ფინანსური ინსტრუმენტის მოსალოდნელი ვადის ან, როდესაც შესაფერისია, უფრო მოკლე ვადის განმავლობაში მისაღები ან გადასახდელი სავარაუდო ფულადი სახსრები ზუსტად დისკონტირდება ფინანსური აქტივის ან ფინანსური ვალდებულების წმინდა საბალანსო ღირებულებამდე. ეფექტური საპროცენტო განაკვეთი უნდა განისაზღვროს ფინანსური აქტივის ან ფინანსური ვალდებულების საბალანსო ღირებულებაზე დაყრდნობით, რომელიც მას გააჩნია საწყისი აღიარებისას. ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის მიხედვით:

(ა) ფინანსური აქტივის (ვალდებულების) ამორტიზებული ღირებულება არის მომავალში მისაღები (გადასახდელი) ფულადი სახსრების დღევანდელი ღირებულება, რომელიც დისკონტირებულია ეფექტური საპროცენტო განაკვეთით;

(ბ) პერიოდის საპროცენტო ხარჯი (შემოსავალი) ტოლია მოცემული პერიოდის ეფექტური საპროცენტო განაკვეთისა და ფინანსური ვალდებულების (აქტივის) საბალანსო ღირებულების ნამრავლის, რომელიც მას ჰქონდა პერიოდის დასაწყისში.

გარიგებები უცხოურ ვალუტაში

გარიგებები უცხოურ ვალუტაში კონვერტირდება კომპანიის შესაბამის ფუნქციონალურ ვალუტაში ტრანზაქციების განხორციელების დღეს საქართველოს ეროვნული ბანკის (სებ) მიერ დადგენილი ოფიციალური სავალუტო გაცვლითი კურსის მიხედვით. ანგარიშგების თარიღისთვის, უცხოურ ვალუტაში წარმოდგენილი ფულადი აქტივები და ვალდებულებები გადაიცვლება ფუნქციონალურ ვალუტაში, ამავე თარიღისთვის არსებული გაცვლითი კურსის მიხედვით. უცხოურ ვალუტაში წარმოდგენილი არაფულადი აქტივები და ვალდებულებები, რომლებიც დაიანგარიშდება სამართლიანი ღირებულებით, კონვერტირდება ფუნქციონალურ ვალუტაში სამართლიანი ღირებულების განსაზღვრის დღისთვის არსებული ვალუტის გაცვლის კურსის მიხედვით. არაფულადი ერთეულები უცხოურ ვალუტაში, რომელიც გამოთვლილია ისტორიული ღირებულების საფუძველზე, გადაყვანილია ტრანზაქციის თარიღისთვის მოქმედი გაცვლითი კურსით. ვალუტის გადაფასებით გამოწვეული სავალუტო საკურსო სხვაობები აისახება პერიოდის მოგებაში ან ზარალში.

დაქირავებულ პირთა გასამრჯელოები

თანამშრომელ პირთა გასამრჯელოები აღიარდება შესრულებული სამუშაოს საფუძველზე არადისკონტირებული ღირებულებით და შესაბამისად აისახება ხარჯებში. ასანაზღაურებელი თანხა აღიარდება მოკლევადიანი ვალდებულების სახით.

მარაგები

მარაგები აღირიცხება უწყვეტი მეთოდით. საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს, ისინი შეფასებულია თვითღირებულებასა და წმინდა სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესით. წმინდა სარეალიზაციო ღირებულება არის ბიზნესის ჩვეულებრივ პირობებში საქმიანობისას არსებული აქტივის გასაყიდი ფასი, შემცირებული იმ მოსალოდნელი დანახარჯების ოდენობით, რომლებიც დაკავშირებულია აქტივის გაყიდვასთან. მარაგების ჩამოწერა ხდება სპეციფიკური იდენტიფიკაციის მეთოდის საშუალებით, თუ ეს შესაძლებელი და მიზანშეწონილია, ხოლო სხვა შემთხვევებში - საშუალო ფასთა მეთოდის გამოყენებით.

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები

ფულად სახსრებს და მათ ეკვივალენტებს კომპანიისთვის წარმოადგენს ფული სალაროში და ფული მიმდინარე საბანკო ანგარიშებზე.

გრძელვადიანი აქტივები

ა) ძირითადი საშუალებების, საინვესტიციო ქონების და არამატერიალური აქტივების აღრიცხვისათვის გამოიყენება თვითღირებულების მოდელი.

ბ) ძირითადი საშუალებებისა და საინვესტიციო ქონების ცვეთისათვის გამოიყენება წრფივი მეთოდი. ამასთან, ცვეთის დარიცხვა იწყება იმ თვიდან, როდესაც ძირითადი საშუალების/საინვესტიციო ქონების გამოყენება დაიწყო, ხოლო იმ თვეში, როდესაც მოხდა ძირითადი საშუალების/საინვესტიციო ქონების გასვლა, ცვეთის დარიცხვა არ ხდება.

გ) ძირითადი საშუალებებისა და საინვესტიციო ქონების ცვეთა ხდება საბალანსო და სალიკვიდაციო ნარჩენ ღირებულებებს შორის სხვაობიდან სასარგებლო სამსახურის ვადის გათვალისწინებით. თუ კონკრეტული ძირითადი საშუალებისთვის ან საინვესტიციო ქონებისთვის ნარჩენი სალიკვიდაციო ღირებულება განსაზღვრული არ არის, ის ჩაითვლება ნულის ტოლად, ხოლო თუ სასარგებლო სამსახურის ვადა არ არის დადგენილი, ცვეთის დარიცხვა ხდება შემდეგი წლიური საპროცენტო განაკვეთების მიხედვით:

შენობა-ნაგებობები - 25 წელი;

მანქანა-დანადგარები - 5 წელი;

კომპიუტერული ტექნიკა - 5 წელი;

ავეჯი და ოფისის აღჭურვილობა - 5 წელი;

სატრანსპორტო საშუალებები - 5 წელი;

იჯარით აღებული ფართის კაპიტალური რემონტი - 6-7 წელი;

სხვა ძირითადი საშუალებები - 2-5 წელი.

ე) არამატერიალური აქტივების ამორტიზაციისათვის გამოიყენება:

- იმ არამატერიალური აქტივებისათვის, რომელთაც აქვთ შეზღუდული სასარგებლო მომსახურების ვადა და ეს ვადა განსაზღვრულია, გამოიყენება ამორტიზაციის დარიცხვის წრფივი მეთოდი მათი სასარგებლო სამსახურის ვადის შესაბამისად;

- იმ არამატერიალური აქტივებისათვის, რომელთაც აქვთ შეზღუდული სასარგებლო მომსახურების ვადა, მაგრამ ეს ვადა ცალსახად განსაზღვრული არ არის, გამოიყენება ამორტიზაციის დარიცხვის წრფივი მეთოდი წლიური საპროცენტო განაკვეთით - 15%;

- არამატერიალური აქტივები განუსაზღვრელი სასარგებლო მომსახურების ვადით არ ამორტიზდება.

მენეჯმენტის მოსაზრებით, ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენებისას არ არსებობს კრიტიკული გადაწყვეტილებები, რომელსაც შეუძლია გავლენა იქონიოს ფინანსური ანგარიშგების მუხლებში აღიარებულ თანხებზე და არ არსებობს ვარაუდები და შესაძლო გაურკვევლობები, რომელიც შეიძლება შეიცავდეს არსებითი კორექტირებების მნიშვნელოვან რისკებს მომავალი ფინანსური წლის შედეგებზე.

2.7. გადასახადები

2016 წელს საქართველოს პარლამენტმა მიიღო კანონი მოგების გადასახადის რეფორმის შესახებ (რომელიც ასევე ცნობილია მოგების გადასახადის „ესტონური მოდელის“ სახელით), რაც ნიშნავს დაბეგვრის მომენტის გადატანას მოგების გამომუშავების თარიღიდან მისი გაცემის თარიღამდე. კანონი ძალაშია საგადასახადო პერიოდებისთვის 2017 წლის 1 იანვრის შემდეგ ყველა იურიდიული პირისთვის, გარდა ფინანსური დაწესებულებებისა (როგორიც არის ბანკები, სადაზღვევო კომპანიები, მიკროსაფინანსო ორგანიზაციები, საკრედიტო კავშირები და და დადგენილი წესით რეგისტრირებული სესხის გამცემი სუბიექტები), რომლებისთვისაც კანონი მოგვიანებით შედის ძალაში (2023 წლის 1 იანვრიდან). კომპანიის დაბეგვრა მოგების გადასახადით ხდება „ესტონური მოდელის“ შესაბამისად.

ახალი საგადასახადო სისტემიდან გამომდინარე, საქართველოში რეგისტრირებულ კომპანიებს, როგორც წესი, არ წარმოეშვებათ დროებითი სხვაობები კომპანიის

საგადასახადო ვალდებულებებსა და მათ საბალანსო ღირებულებებს შორის. შესაბამისად, 2017 წლიდან მათ არ აქვთ გადავადებული საგადასახადო აქტივები და გადავადებული მოგების გადასახადის ვალდებულებები (გარდა იშვიათი გამონაკლისი შემთხვევებისა).

2017-2019 წლებში საქართველოში მოგების გადასახადის განაკვეთი 15%-ს შეადგენდა.

2.8. წარდგენის ვალუტა და ერთეულის სიზუსტე

საქართველოს ეროვნულ ვალუტას წარმოადგენს ქართული ლარი, რომელიც არის კომპანიის ფუნქციონალური ვალუტა და აგრეთვე ვალუტა, რომელშიც არის წარმოდგენილი კომპანიის ფინანსური ანგარიშგება. ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია 1 (ერთი) ლარის სიზუსტით.

2.9. გაცვლითი სავალუტო კურსები

სავალუტო ფულადი მუხლებისათვის გამოყენებულია შემდეგი ოფიციალური გაცვლითი კურსები, დადგენილი საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ:

2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით:

1 USD=2.8677 ლარი;

1 EUR=3.2095 ლარი.

2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით:

1 USD=2.6766 ლარი;

1 EUR=3.0701 ლარი.

3. ფინანსური ანგარიშგების მუხლების განმარტებითი შენიშვნები

3.1. ფული და ფულის ეკვივალენტები:

	ნაშთი 31.12.2019		ნაშთი 31.12.2018		ნაშთი 31.12.2017
	(ლარი)		(ლარი)		(ლარი)
ნაღდი ფული სალაროში	69932.09		178388		116860
მიმდინარე საბანკო ანგარიშებზე	517836.80		449981		122124
	587 769		628 369		238 984

3.2. სავაჭრო მოთხოვნები:

	ნაშთი 31.12.2019		ნაშთი 31.12.2018		ნაშთი 31.12.2017
	(ლარი)		(ლარი)		(ლარი)
ადგილობრივი მყიდველები	26 480		13 339		15 487
	26480		13339		15487

2018 წლის ბოლოსათვის, კომპანიას არ აქვს გაუფასურებული დებიტორული მოთხოვნები.

3.3. მარაგები:

	ნაშთი 31.12.2019		ნაშთი 31.12.2018		ნაშთი 31.12.2017
	(ლარი)		(ლარი)		(ლარი)
საქონელი	12 602		25 366		17 749
ნედლეული და მასალები	86 634		82 863		62 911
სხვა	261		267		849
	99 498		108 496		81 509

სხვა მატერიალური მარაგები შედგება საწვავისაგან.

3.4. ძირითადი საშუალებები:

	მიწის ნაკვეთები	დაუმთავრებელი შენიშვნა	ოფისის აღჭურვილობა	სატრანსპორტო საშუალებები	კომპიუტერული ტექნიკა	სხვა ძირითადი საშუალებები	სულ
	(ლარი)	(ლარი)	(ლარი)	(ლარი)	(ლარი)	(ლარი)	(ლარი)
ნარჩენი ღირებულება 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	663421	25299	0	5482	205014	8458	1018666
დამატება		1873558	256531	5072		3586	2232914
შემცირება							0
ცვეთის და მორტიზაციის ხარჯი			10261	2130	54165	2769	113184
ჩამოწერა							0
ნარჩენი ღირებულება 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	663421	1898857	246269	8424	150848	9275	3138396

კომპანიის სააღრიცხვო პოლიტიკით, ძირითადი საშუალებების მიმართ გამოიყენება თვითღირებულების მოდელი.

ძირითადი საშუალებების ერთიანი დაგროვილი ცვეთის თანხა შეადგენდა:

2019 წლის ბოლოს - 241014 ლარი;

3.5. არამატერიალური აქტივები:

	პროგრამული უზრუნველყოფა	სულ
	(ლარი)	(ლარი)
ნარჩენი ღირებულება 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	5733	5733
დამატება		0
შემცირება		0
ცვეთის და მორტიზაციის ხარჯი	687	687
ჩამოწერა		0
ნარჩენი ღირებულება 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	5046	5046

არამატერიალური აქტივების ერთიანი დაგროვილი ამორტიზაციის თანხა შეადგენდა:

2019 წლის ბოლოს - 1824 ლარი;

3.6. სავაჭრო ვალდებულებები:

	ნაშთი 31.12.2019		ნაშთი 31.12.2018		ნაშთი 31.12.2017
	(ლარი)		(ლარი)		(ლარი)
ადგილობრივი მომწოდებლები	137 588		34 824		100 377
უცხოელი მომწოდებლები	0		0		0
	137 588		34 824		100 377

3.7. სხვა ვალდებულებები:

	ნაშთი 31.12.2019		ნაშთი 31.12.2018		ნაშთი 31.12.2017
	(ლარი)		(ლარი)		(ლარი)
თანამშრომლების მიმართ ვალდებულებები	27802.90		24797		26305
მიღებული ავანსები	133		0		0
	27 936		24 797		26 305

3.8. საკუთარი კაპიტალი:

კომპანიის წესდებით განსაზღვრული კაპიტალი 0 ლარია, რაც დასაშვებია „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის მიხედვით. შესაბამისად, კომპანიის საკუთარი კაპიტალი მთლიანად შედგება დაგროვილი გაუნაწილებელი მოგებისაგან.

3.9. ნეტო ამონაგები და რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება

2019 წელს კომპანიის ნეტო-ამონაგები შედგებოდა წარმოებული საკონდიტრო ნაწარმის გაყიდვებიდან მიღებული შემოსავლებიდან და საქონლის გაყიდვებიდან მიღებული შემოსავლიდან.

	2019		2018
	(ლარი)		(ლარი)
ამონაგები წარმოებული პროდუქციის რეალიზაციიდან	6 420 517		5 989 776
ამონაგები საქონლის რეალიზაციიდან	305 729		274 824
	6 726 246		6 264 600

წარმოებული პროდუქციის თვითღირებულება მოიცავს:

ნედლეულის და მასალების ხარჯს, წარმოებაში დასაქმებული პერსონალის ხელფასის ხარჯს, საწარმოო შენობის იჯარის ხარჯს, კომუნალური დანახარჯებს და წარმოების ძირითადი საშუალებების ცვეთის ხარჯს.

	2019		2018
	(ლარი)		(ლარი)
წარმოებული პროდუქციის თვითღირებულება:	4 195 611		3 901 477
საქონლის თვითღირებულება	245 273		227 808
	4 440 884		4 129 285

3.10. მიწოდების ხარჯები:

	2019		2018
	(ლარი)		(ლარი)
ხელფასები (კონსულტანტები და მძღოლები)	219 392		195 778
ავტომობილების საწვავის ხარჯი	26 851		22 769
კომუნალური ხარჯი (მაღაზიები)	37 585		31 185
მაღაზიების იჯარის ხარჯი	322 848		269 390
ძირ. საშუალებების ცვეთა	67 731		45 835
ავტომობილების რემონტის ხარჯი	8 569		9 704
მიწოდების სხვა ხარჯები	42 694		44 219
	725 671		618 880

3.11. საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები:

	2019		2018
	(ლარი)		(ლარი)
ხელფასის ხარჯები	262 405		295 519
საიჯარო ქირა	7 500		6 000
კომუნალური ხარჯები	1 919		2 030
საკანცელარიო ხარჯები	4 359		1 198
კომუნიკაციის ხარჯები	7 266		7 375
საკონსულტაციო და აუდიტის ხარჯები	-		8 000
ცვეთა/ამორტიზაცია	33 348		30 427
საგადასახადო ხარჯები	3 733		3 181
საბანკო ხარჯები	28 634		14 959
საერთო დანიშნულების რემონტის ხარჯები	12 980		5 601
სხვა ხარჯები	37 213		45 081
	399 358		419 371

3.12. საანგარიშგებო პერიოდის მოგება (ზარალი):

2016 წლის 13 მაისს საქართველოს პარლამენტმა მიიღო კანონი მოგების გადასახადით დაბეგვრის რეფორმის შესახებ (დაბეგვრის ახალი წესი ცნობილია მოგების გადასახადის „ესტონური მოდელის“ სახელით), რაც ნიშნავს დაბეგვრის მომენტის გადატანას მოგების გამომუშავების თარიღიდან მისი ფაქტობრივად გაცემის თარიღამდე. 2017 წლის 1 იანვრის შემდეგ ეს კანონი ძალაში შევიდა ყველა კომერციული იურიდიული პირისთვის, გარდა ფინანსური ინსტიტუტებისა (როგორც არის ბანკები, საკრედიტო კავშირები, სადაზღვევო კომპანიები, მიკროსაფინანსო ორგანიზაციები, რეგისტრირებული სესხის გამცემი სუბიექტები).

კომპანიის 2019 წლის ფინანსური შედეგი - 1 144 152 ლარი შემცირებულია იმ მოგების გადასახადის ხარჯით - 104 025 ლარით, რომელიც წარმოიშვა 2017-2018 წლების მოგებიდან დივიდენდების გაცემის შედეგად (დაბეგვრის „ესტონური მოდელის“ შესაბამისად) 2019 წელს.

3.13. დაგროვილი გაუნაწილებელი მოგება

კომპანიის გაუნაწილებელი მოგების ნაშთი 2019 წლის ბოლოს შედგება 2017 (ნაწილობრივ) და 2018-2019 წელს მიღებული მოგებიდან.

3.14. სასამართლო დავები:

კომპანიას 2019 წლის განმავლობაში სასამართლო დავები არ ჰქონია.

3.15. საანგარიშგებო პერიოდის შემდეგი მოვლენები

2020 წლის 1 იანვრიდან 30 სექტემბრამდე პერიოდში, კომპანიის ეკონომიკურ საქმიანობაში საყურადღებო მოვლენები არ მომხდარა.

3.16. დაკავშირებულ მხარეთა ოპერაციები

2019 წელს, კომპანიას არ ჰქონია დაკავშირებულ მხარეებთან (დამფუძნებლები, დირექტორი) ისეთი ოპერაციები, რომლებზეც გავლენას იქონიებდა მხარეთა შორის არსებული ურთიერთობები.

3.17. ფინანსური ანგარიშგების დამტკიცება

წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია და ხელმოწერილია კომპანიის ხელმძღვანელობის მიერ 2020 წლის 30 სექტემბერს.